სსიპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბრძანება
05.11.2015 N 223

თბილისი

მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო
პროგრამებზე შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის, „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის „პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამის" განმახორციელებელი ჯგუფის რეკომენდაციების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (შემდგომში პროგრამა) დანერგვის პროცესისათვის ხელშეწყობის მიზნით შეიქმნას შიდა მონიტორინგის ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:
   - თამარ ცერცვაძე – სწავლების დეპარტამენტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჯგუფის მთავარი სპეციალისტი – კომისიის თავმჯდომარე;
   - მარინა ყავრელიშვილი – „კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორის" პროგრამის ხელმძღვანელი – კომისიის წევრი;
   - ნათია ბუთხუზი – „სატრანსპორტო ლოჯისტიკის ოპერატორის" პროგრამის ხელმძღვანელი – კომისიის წევრი;
   - ლელა გერგეშელიძე – „ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტის" პროგრამის მასწავლებელი – კომისიის წევრი;
   - მარინა მაისურაძე – „არქიტექტორ–ტექნიკოსის" პროგრამის ხელმძღვანელი – კომისიის წევრი;
2. დაევალოს კომისიას:

   ა) შეადგინოს მონიტორინგის გეგმა;

   ბ) ჩაატაროს მონიტორინგი გეგმის მიხედვით, მაგრამ თვეში არანაკლებ ოთხი შემოწმებისა თითოეულ პროგრამაზე;

გ) წარმოადგინოს სრული ინფორმაცია პროგრამების დანერგვის მიმდინარეობისა და მონიტორინგის განხორციელების შესახებ ყოველი თვის 25 რიცხვამდე;

3. კონტროლი ბრძანების შესახებ დაევალოს სწავლების დეპარტამენტს (ე.ნარეშელაშვილი);
4. ბრძანება განთავსდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

რექტორი *ა. ფრანგიშვილი*

ვიზები:

ვიცე-რექტორი
ლ. კლიმიაშვილი

სწავლების დეპარტამენტის
უფროსი *ი. ლომიძე*

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის
უფროსი *ბ. მაისურაძე*